პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს, რომელიც სტუ–ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სპეციალური კომისიის წინაშე გაივლის გასაუბრებას, სადაც წარადგენს საკუთარი ხელით შესრულებულ გრაფიკულ ნამუშევრებს (ნახატებს და ნახაზებს) და ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ხატვასა და ხაზვაში გასაუბრების ჩატარების ეტაპები აღწერილია შესაბამის დოკუმენტში, რომელიც განთავსებულია ფაკულტეტის ვებგვერდზე: https://gtu.ge/Arch/Students/Applicants.php
გასაუბრების ჩატარების თარიღი გამოქვეყნდება სტუ–ს ვებგვერდზე: https://gtu.ge/

პროგრამის მიზანი

არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამის მიზანია:

- მოამზადოს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, არქიტექტურის საფუძვლების, მისი არსის, განვითარების კანონზომიერებების, დაპროექტების ძირითადი პრინციპებისა და მეთოდების ცოდნით აღჭურვილი, შემოქმედებითი და სივრცითი აზროვნების მქონე სპეციალისტი;
- კურსდამთავრებულმა შესძლოს დამოუკიდებელი არქიტექტურული საქმიანობის უფლების მქონე პირის ხელმძღვანელობით და მითითებებით არქიტექტურული პრაქტიკული საქმიანობის წარმართვა, კერძოდ, ქალაქთმშენებლობითი, შენობა–ნაგებობების, მათი ინტერიერების და გარემოს დიზაინური ობიექტების დაპროექტება.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

- **ფლობს** ფერთა ჰარმონიისა და კომპოზიციის კანონებს, როგორც სივრცით აზროვნებაზე და პროპორციის შეგრძნებაზე ზემოქმედების მქონე საშუალებებს; არქიტექტურის ისტორიისა და თეორიის, ასევე სახვითი ხელოვნების საფუძვლებს და **იაზრებს,** როგორც არქიტექტურული გარემოს შექმნისათვის აუცილებელ სოციალურ კონტექსტს, ისე კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ საკითხებს.
- **აცნობიერებს** ბუნებრივ–კლიმატური ფაქტორების როლს, ასევე საზოგადოებრივ მოთხოვნებსა და ინტერესებს, პროფესიული ეთიკის საკითხებს გარემოს დაგეგმარების, შენობა-ნაგებობების და ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტირების პროცესში.
- **იცის** ეკოლოგიური მდგრადობისა და ენერგოეფექტურობის პრინციპები და ასევე პროექტირების ნორმატიული და სამართლებრივი რეგულაციების საფუძვლები.
- **აქვს** არქიტექტურის სფეროს ფართო და მრავალმხრივი თეორიული თუ პრაქტიკული, მათ შორის საპროექტო დოკუმენტაციის ვიზუალიზაციისთვის აუცილებელი პროფესიული ხერხების ცოდნა და კრიტიკულად **იაზრებს** ქალაქთმშენებლობითი და მოცულობითი არქიტექტურის, გარემოს დიზაინისა და ინტერიერის პროექტების/კონცეფციების ხორცშესხმისთვის საჭირო პროცედურებს და პროცესებს.

- **ერკვევა** შენობა-ნაგებობის სისტემებთან დაკავშირებულ სტრუქტურებში, კონსტრუქციებსა და მასალებში, ახალ ტექნოლოგიებში, სატრანსპორტო და საინჟინრო კომუნიკაციებში, ტექნიკური მომსახურებისა და უსაფრთხოების სისტემებში.
- **ითვალისწინებს** კომპოზიციის კანონებს, ფუნქციურ, ესთეტიკურ, ტექნიკურ საკითხებს, ერგონომიკულ თავისებურებებს, ადგილობრივ და მსოფლიო არქიტექტურაში ისტორიულ და კულტურულ პრეცედენტებს, პროფესიული ეთიკის მოთხოვნებს და შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის - ნახაზების, სქემების, ჩანახატების, ესკიზების და მოდელირების გამოყენებით, წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად, **ქმნის** არქიტექტურულ პროექტს.
- **აგროვებს** საპროექტო დავალებისთვის ინფორმაციას ბუნებრივ–კლიმატური, ქალაქთმშენებლობითი ფაქტორების, მოქმედი საკანონმდებლო აქტებისა და ნორმატიული წესების საფუძველზე და დამოუკიდებელი პრაქტიკული საქმიანობის უფლების მქონე პირის მითითებებით **ასრულებს** არქიტექტურულ პროექტს.
- **აანალიზებს** ლოგიკური აზროვნების საფუძველზე არქიტექტურულ-კონსტრუქციულ, ტექნიკურ, ტექნოლოგიურ და პროექტირებასთან დაკავშირებულ სხვა საინჟინრო პრობლემებს და წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად **ასახავს** პროექტში, როგორც ერთ მთლიან შემაჯამებელ დოკუმენტში.
- არქიტექტურული პროექტის შემუშავებისთვის და წარსადგენად **იყენებს** ვიზუალური კომუნიკაციის ხერხებს - ჩანახატებს, მაკეტებს, ელექტრონულ, გრაფიკულ და სხვა მეთოდებს, ასევე შემოქმედებითი იდეებისა და პროფესიული ინფორმაციის გადმოსაცემად ვერბალურ და წერილობით საშუალებებს.
- არქიტექტურული პროექტირების პროცესში **მუშაობს** ინდივიდუალურად ან/და გუნდში პროფესული ეთიკის მოხოვნების გათვალისწინებით და სხვადასხვა ფორმითა და მეთოდით **ამყარებს** კომუნიკაციას.
- სათანადოდ **აფასებს** ქართული კულტურის ფენომენს, სოციალურ-კულტურულ, ზნეობრივ, ესთეტიკურ, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს და ინდივიდუალური სასწავლო საჭიროებისამებრ გეგმავს საკუთარ პროფესიულ განვითარებას.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, კერძოდ, დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულაა 40 (დასკვნითი შეფასების მინიმალური დადებითი ქულაა 11), ხოლო შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულა - 60 (შუალედური შეფასების მინიმალური დადებითი ქულაა 30). ამასთან, შუალედური შეფასება მოიცავს 2 კომპონენტს: შუასემესტრულ გამოცდას და მიმდინარე აქტივობის შეფასებას. შუასემესტრული გამოცდა შეფასების აუცილებელი კომპონენტია, მისი მაქსიმალური ქულაა 30, მიმდინარე აქტივობის მაქსიმალური ქულაა 30. FX-ის მიღების შემთხვევაში ინიშნება დამატებით გამოცდა, შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებულ ქულას. სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრებასთან, საპატიო მიზეზით გაცდენილი შეფასების/გამოცდის აღდგენასთან და ასევე სტუდენტის ცოდნის შეფასებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები მოცემულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის ინსტრუქციაში, რომელიც განთავსებულია ვებგვერდზე: https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Forms.php

პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	სასწავლო კურსი	ECTS კრედიტი
1	წრფივი ალგებრისა და კალკულუსის ელემენტები	5
2	არქიტექტურული ინფორმატიკა	3
3	უცხოური ენა 1 (ენის არჩევით)	
3.1	უცხოური ენა (ინგლისური) – B 1.1	5
3.2	უცხოური ენა (გერმანული) – B 1.1	5
3.3	უცხოური ენა (ფრანგული) – B 1.1	5
3.4	ქართული ენა -1 (არაქართულენოვანთათვის)	5
4	არქიტექტურის საწყისები	3
5	არქიტექტურული გრაფიკის საფუძვლები	3
6	არქიტექტურული კომპოზიციის საფუძვლები	3
7	ხატვა	5
8	არქიტექტურის ისტორია 1- უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე	3
9	უცხოური ენა 2 (ენის არჩევით)	
9.1	უცხოური ენა (ინგლისური) – B 1.2	5
9.2	უცხოური ენა (გერმანული) – B 1.2	5
9.3	უცხოური ენა (ფრანგული) – B 1.2	5
9.4	ქართული ენა -2 (არაქართულენოვანთათვის)	5
10	გეოდეზია არქიტექტურაში	4
11	მხაზველობითი გეომეტრია	3
12	არქიტექტურული გეგმარების საწყისები. აზომვითი პრაქტიკა	3

13	არქიტექტურული გრაფიკა (ტრადიციული და ციფრული)	3
14	მოცულობით სივრცითი კომპოზიცია	3
15	ფერწერა	3
16	არქიტექტურის ისტორია 2- მსოფლიო არქიტექტურა XIX -XX საუკუნეებში	3
17	შესავალი პლასტიკურ არქიტექტურულ მოდელირებაში	3
18	უცხოური ენა 3 (ენის არჩევით)	
18.1	უცხოური ენა (ინგლისური) – B 2.1	5
18.2	უცხოური ენა (გერმანული) – B 2.1	5
18.3	უცხოური ენა (ფრანგული) – B 2.1	5
18.4	ქართული ენა -3 (არაქართულენოვანთათვის)	5
19	ჰუმანიტარული საგნები (ერთ-ერთის არჩევით)	
19.1	ფილოსოფიის საფუძვლები	3
19.2	ზოგადი სოციოლოგია	3
19.3	აკადემიური წერის ელემენტები	3
19.4	შესავალი ფსიქოლოგიაში	3
19.5	საქართველოს ისტორია	3
19.6	ენობრივი კომუნიკაციების თანამედროვე ტექნოლოგიები	3
20	ერგონომიკის საფუძვლები	3
21	ფორმა სივრცეში (ქანდაკება)	3
22	არქიტექტურის ისტორია 3 – დისკურსის თემები საერთაშორისო არქიტექტურაში	3
23	ქალაქთმშენებლობის თეორიის საფუძვლები	3
24	არქიტექტურული დაპროექტების თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები	7
25	სპეციალობის საგნები N1 (ერთ-ერთის არჩევით)	
25.1	ურბანული განვითარების სოციოკულტურული საფუძვლები	3
25.2	ინტერიერის სტილები	3
25.3	ენერგოეფექტური შენობების დაპროექტების საფუძვლები	3
25.4	პლასტიკური არქიტექტურული მოდელირება	3
25.5	გრაფიკა	3
25.6	ქანდაკება	3
25.7	შესავალი ხელოვნების ისტორიაში	3
25.8	კომპიუტერული დაგეგმარება	3

25.9	ჩრდილები და პერსპექტივი	3
26	უცხოური ენა 4 (ენის არჩევით)	
26.1	უცხოური ენა (ინგლისური) – B 2.2	5
26.2	უცხოური ენა (გერმანული) – B 2.2	5
26.3	უცხოური ენა (ფრანგული) – B 2.2	5
26.4	ქართული ენა -4 (არაქართულენოვანთათვის)	5
27	ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია XX საუკუნის 90-იან წლებამდე	3
28	არქიტექტურული დაპროექტება 1	6
29	ლანდშაფტური არქიტექტურა	6
30	გარემოს დიზაინური დაპროექტების თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები	5
31	ინტერიერის დაპროექტების თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები	5
32	არქიტექტურული დისკურსი და ქალაქი	3
33	კონსტრუქციები არქიტექტურაში 1	3
34	ფერთამცოდნეობა	3
35	არქიტექტურული დაპროექტება 2	6
36	ქალაქთმშენებლობითი პროექტირება 1	5
37	ქუჩის მონაკვეთის დიზაინ-პროექტი	5
38	საზოგადოებრივი დანიშნულების ინტერიერის დაპროექტება	5
39	პროექტირების ნორმატიული და საკანონმდებლო საფუძვლები	3
40	არქიტექტურული მასალათმცოდნეობა	3
41	კონსტრუქციები არქიტექტურაში 2	3
42	არქიტექტურული დაპროექტება 3	6
43	ქალაქთმშენებლობითი პროექტირება 2	5
44	მცირე არქიტექტურული ფორმების დიზაინ-პროექტი	5
45	სამრეწველო დანიშნულების ინტერიერის დაპროექტება	5
46	შენობების და ნაგებობების საინჟინრო აღჭურვა	3
47	შრომის დაცვის საფუძვლები არქიტექტურაში	3
48	ინოვაციური მოსაპირკეთებელი მასალები არქიტექტურულ დიზაინში	3
49	ქალაქთმშენებლობითი ეკოლოგიის საფუძვლები	3
50	კონსრუქციები არქიტექტურაში 3	3

51	არქიტექტურული ფიზიკა - კლიმატოლოგია, ინსოლაცია	3
52	არქიტექტურული დაპროექტება 4	6
53	საპროექტო პრაქტიკა	6
54	არქიტექტურული ფიზიკა - ბუნებრივი განათებულობა, აკუსტიკა	3
55	შენობათა რეკონსტრუქცია, რეგენერაცია, ადაპტაცია	6
56	ურბანული (ქალაქთმშენებლობითი) რეკონსტრუქცია	3
57	საბაკალავრო პროექტი არქიტექტურაში	7
58	სპეციალობის საგნები N2 (ერთ-ერთის არჩევით)	
58.1	საინჟინრო კონსტრუქციები	3
58.2	თბოაირმომარაგებისა და ვენტილაციის საფუძვლები	3
58.3	დაპროექტებისა და მშენებლობის ეკონომიკა და ორგანიზაცია	3
59-60	თავისუფალი კომპონენტი	
59.1	არქეოლოგიური არქიტექტურა და ძეგლთა რესტავრაცია	3
59.2	არქიტექტურის და ხელოვნების თანამედროვე პრობლემები	3
59.3	ტექსტილი და აქსესუარები არქიტექტურულ დიზაინში	3
60.1	გამწვანება და დეკორი	5
60.2	ავეჯის დიზაინი	5
60.3	არქიტექტურული დისკურსი და დიზაინი	5